№41 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №80 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №80 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	1	3 540
2	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1	2 950
3	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	2	2 720
4	საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი	1	2 400
5	დეპარტამენტის უფროსი	6	2 100
6	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	7	1 700
7	ფინანსური მენეჯერი	1	1 700
8	იურისტი	1	1 700
9	სამმართველოს უფროსი	3	1 350
10	მთავარი სპეციალისტი	19	1 180
	სულ:	**42“.**	

2. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**